84 (09)
Ხ-549

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ხათუნა სერგოს ასული წიკლაური

« აბსურდის ციკლი » ალბერ კამიუს შემოქმედებაში

10.01.05. ევროპისა და ამერიკის ხალხთა ლიტერატურა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **თემურ კობახიძე**
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ოფიციალური ოპონენტები: **ირაკლი კენჭოშვილი**
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი 10.01.05

მანანა ჯაოშვილი
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი, დოცენტი 10.01.05

დისერტაციის დაცვა შედგება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმჭიფო უნივერსიტეტის P.10.06. N 8 სადისერტაციო საბჭოს ხდომაზე 2006 წლის13. X. ..... საათზე.
მისამართი: 0128. ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N36.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: 0147, თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა, N 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის ——

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი **(რ. ციხითათრიშვილი)**

-2096-

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა, ალბერ კამიუ (1913–1960) მკითხველისთვის ცნობილია როგორც ღრმად მოაზროვნე, მაგრამ საკმაოდ წინააღმდეგობრივი მწერალი, რომელსაც საკმაოდ გრძელი და რთული გზის გავლა მოუწია სანამ ფრანგული კრიტიკა მას მეოცე საუკუნის "მეტრად" აღიარებდა და ნობელის პრემიას მიანიჭებდა. ანდრე ჟიდი, ანდრე მალრო, ფრიდრიხ ნიცშე, თევდორე დოსტოევსკი – აი, არასრული სია კამიუს იმუამინდელი კერპებისა. შემოქმედების ადრეულ პერიოდშივე იკვეთება კამიუს ლიტერატურული შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკა, სამყაროს აბსურდულობის შეგრძნება, ბედნიერების სურვილი და ცხოვრების ტრაგიზმი, ჭეშმარიტებისკენ სწრაფვა და მისი მოხელთების შეუძლებლობა, სიკვდილის შიში და სიცოცხლის უზომო სიყვარული.

ალბერ კამიუს მკვლევარები საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამენ, მაგრამ ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოსაც, რაც გამოწვეულია თვითონ კამიუს წინააღმდეგობრივი პიროვნებით და შემოქმედებით. ჩვენს ნაშრომში შევეცადეთ ალბერ კამიუს აბსურდის ფილოსოფიის განხილვის, აბსურდის ფუნდამენტური ფენომენის შეძლებისდაგვარად სრული სურათი წარმოგვედგინა მისი შემოქმედების ადრეული პერიოდის მიხედვით, რომელსაც მან "აბსურდის ციკლი" უწოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გამართლებულია ეს არჩევანი. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ შესანიშნავი მწერლის შესახებ მასალა ძალზე მწირია. ამდენად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ქართულ ენაზე პირველი სამეცნიერო მონოგრაფიაა, რომელიც ალბერ კამიუს შემოქმედების კონკრეტულ საკითხებს – სამყაროს შემეცნების შეუძლებლობას, შესაძლებლის ამოწურვას, ანუ შეძლებისდაგვარად "მეტ ცხოვრებისაკენ" სწრაფვას შეისწავლის. ეს არის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი რომელიც კამიუმ თავის ნაშრომებში გააცხადა; ადამიანებში, მათ ურთიერთობებში, მათ ირგვლივ შექმნილ ვითარებაში იგი ეძებდა არა კონკრეტულს, არამედ უნივერსალურს, არა შეზღუდულ – ინდივიდუალურს, არამედ ზოგადსაკაცობრიოს; მთავარია გამოვლინდეს პიროვნება, მიეცეს მას თვითიდენტიფიკაციის შესაძლებლობა, აღმოაჩინოს საკუთარ თავში არჩევისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი. ჩვენ შევეცადეთ პრობლემის შესწავლა კამიუს მხატვრულ შემოქმედებაში თანამედროვე კვლევის საერთაშორისო სამეცნიერო დონის გათვალისწინებით. ნაშრომის აქტუალობასაც სწორედ მხატვრულ შემოქმედებაში დასმული პრობლემების სიმძაფრე და გამოხატვის ფორმა განსაზღვრავს.

გამოკვლევის მიზანი. სადისერტაციო ნაშრომი ძირითად მიზნად ისახავს "აბსურდის ადამიანის" დებულებას, რომლითაც ეს მიდის ტრაგიკულ ოპტიმიზმამდე. საკვლევი